საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 04/83314 "01" 05 2014 წ.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 51-ე მუხლის 6² პუნქტის შესაბამისად, მაუწყებლები (გარდა საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე ეროვნული მაუწყებლის, საზოგადოებრივი მაუწყებლის, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოსი), რომლებსაც სურთ ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსება, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 55-ე დღისა ცესკოს და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას გადასცემენ ინფორმაციას ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების შეთავაზებული გრაფიკისა და სარეკლამო დროის ფასის შესახებ, რომელიც 1 დღის ვადაში განთავსდება ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

გამომდინარე იქიდან, რომ ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების დანიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისად, არჩევნების ჩატარების თარიღად განისაზღვრა 2014 წლის 15 ივნისი, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 55-ე დღეს წარმოადგენს 2014 წლის 21 აპრილი.

იმის გათვალისწინებით, რომ 2014 წლის 21 აპრილი წარმოადგენდა საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ უქმე დღეს (მიცვალებულთა მოხსენიების დღე – აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი) კომისიამ იმოქმედა რა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94–ე მუხლის პირველი ნაწილით (რომლის შესაბამისადაც, ადმინისტრაციულ წარმოებაში ვადის გამოთვლისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-69-ე მუხლებით დადგენილი წესი) და შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61–ე მუხლის მე–2 ნაწილით (რომლის შესაბამისადაც, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე) მიიჩნია, რომ კომისიაში საქართველოს საარჩევნო კოდექსის 51-ე მხულის 6² პუნქტით გათვალისწინებული ვადის დაცვით, ინფორმაცია ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების თაობაზე წარმოდგენილი აქვთ მაუწყებლებს, რომლებმაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ზემოაღნიშნული ინფორმაცია წარმოადგინეს 2014 წლის 22 აპრილის 19:00 საათამდე. ეს მაუწყებლები არიან:

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოქორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge